სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 დეკემბერი, 2025 წ.

ბრძანება №01-02/220

„პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით **მონიტორინგის ჯგუფის** შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის №01-02/45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2025 წ.) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 01 დეკემბრის №1701054 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის №01-02/45 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით **დამტკიცდეს მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:**

ა) **მერაბ ხალვაში** - ბსუ-ს რექტორის მოადგილე ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) **ვლადიმერ ღლონტი** - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) **ჯილდა აბაშიძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;

დ) **მარიანა გოგოლიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ე) **ლია კვიტაიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ვ) **მანანა ბერიძე** - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ზ) **ლია ქავთარაძე** - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი.".

2. მონიტორინგის ჯგუფს დაევალოს „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, შესაბამის ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**